ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 292 რესპუბლიკის პროპაგანდის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის

**ბუანიას** შოთა მეჯიდის ძეს — საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელს.

**გოცირიძეს** მერი სერგის ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტს.

**ელერდაშვილს** ალექსანდრე გიორგის ძეს—საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**ლაცაბიძეს** ქეთევან კონსტანტინეს ასულს — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანს.

**მაქაცარიას** ვიქტორ სტეფანეს ძეს — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგის მოადგილეს.

**სააკიანს** რანუშ იოსების ასულს — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

**შარმიაშვილს** ნიკოლოზ ილიას ძეს—საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელს.

**ჩებიკინს** ნიკოლოზ ივანეს ძეს—ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების უფროსს.

**ჩოჩიევას** ჟანეტა ნიკოლოზის ასულს — თეორიული სემინარის ხელმძღვანელს, ქ. ცხინვალი.

### საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის

**იაკუბოვსკაიას** გალინა ნიკოლოზის ასულს — ბიბლიოთეკის გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი. 1979 წლის 30 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 293 საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მე-10 000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება** მიენიჭოთ:

**მგელაძეს** ნარგიზა სიმონის ასულს — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილეს.

**ნინუას** ჯემალ ალექსანდრეს ძეს — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორს.

**ჭიჭინაძეს** უშანგი მიხეილის ძეს — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 294 რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### საქართველოს სსრ სახალხო არტისტის

**წიფურიას** ბორის მიხეილის ძეს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს.

### საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის

**მრევლიშვილს** ალექსანდრე მიხეილის ძეს — თბილისის სახელმწიფო ახალგაზრდულ თეატრ-სტუდია „მეტეხის" სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს.

**ქავთარაძეს** გიორგი გიორგის ძეს — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს.

**შალიკაშვილს** ამირან ვალერიანის ძეს — თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის

**შხვაცბაიას** გიორგი გიორგის ძეს — მოქანდაკეს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის

**ქურთიშვილს** ვლადიმერ კონსტანტინეს ძეს — არქიტექტორს.

**ცუხიშვილს** ვახტანგ ვლადიმერის ძეს — არქიტექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**295** რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**გაბუნია** დიმიტრი სილიბისტროს ძე — პერსონალური პენსიონერი.

**გაბუნია-ქეიშვილი** ნელი გიორგის ასული — თბილისის საფინანსო ტექნიკუმის მასწავლებელი.

**გუმბერიძე** თინა ნიკიფორეს ასული — მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**დარჩია** მამია დომენტის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი.

**თაბაგარი** მიხეილ პართენის ძე — დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

**კაკაურიძე** ლეილა ბარნაბის ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სექტორის გამგე.

**მიშველაძე** ავქსენტი ესტატეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი.

**ომიაძე** პლატონ მოსეს ძე — ამბროლაურის № 1 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

**პროხოროვა** ვერა თევდორეს ასული — თბილისის 64-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**სულეიმანოვი** სადიგ გაჯი ოღლი — დმანისის რაიონის იაყუბლის საშუალო სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**სუპატაშვილი** თენგიზ მიხეილის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების ბაზის დირექტორი.

**უთმელიძე** მარიამ ტიმოთეს ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პედაგოგ-მეთოდისტი.

**ღამბაშიძე** ნათელა ოთარის ასული — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორი.

**ყუბანეიშვილი** თინა ფილიმონის ასული — ქ. ქუთაისის № 7 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი.

**ჩიქოვანი** ლევან ალექსანდრეს ძე — ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

**ჩუკბარი** გრიგოლ ივანეს ძე — სოხუმის მე-10 საშუალო სკოლის აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ხუნდაძე** შალვა გიორგის ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ჯილაური** ნათელა ირაკლის ასული — თბილისის მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის დირექტორი.

**ჯოჯუა** ვალერიან ივანეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის მეთოდისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 296 იმ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატის მშენებლობაზე

მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის და ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატის საექსპლუატაციოდ წარმატებით გადაცემასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**გაბისონია** გიორგი ვარლამის ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველი.

**გვალია** სერიოჟა გედევანის ძე — ნოსირში სამშენებლო კონსტრუქციების მშენებარე კომბინატის დირექციის დირექტორი.

**გეგენავა** არსენ დავითის ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 50 მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშა.

**დგებუაძე** მურმან დავითის ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 51 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

**ესვანჯია** ვახტანგ პართენის ძე — საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი.

**იობიძე** მამია ბენოს ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის მუშა.

**კუკალია** შოთა ვლასის ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის სამუშაოთა მწარმოებელი.

**მხეიძე** ზურაბ ივანეს ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი.

**ტყებუჩავა** ჯუმბერ გუგუს ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი.

**ქიშმარაია** სამსონ იოსების ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 9 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 297 ამხ. ლ. ე. ტყეშელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს კადრების და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი ამხ. ლილი ემელიანეს ასული **ტყეშელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 10 ოქტომბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 298 მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წელს ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 299 ამხ. ი. პ. ლიუბიმოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წელს ქ. თბილისში მოსკოვის ტაგანკის დრამისა და კომედიის თეატრის გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით თეატრის მთავარი რეჟისორი ამხ. იური პეტრეს ძე ლიუბიმოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 300 კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავკასიის მინერალური ნედლეულის ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის, დაარსების 50-ე წელთან დაკავშირებით **ა. ა. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 301 ამხ. თ. კ. ბებიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ კონსტანტინეს ძე **ბეგიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 16 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 302 ამხ. ნ. გ. შარაშენიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს მე-2 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ამხ. ნოდარ ბიძინას ძე **შარაშენიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 16 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 303 საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის — ცეკავშირის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბულაძე** ლიანა ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის კვების მრეწველობის სამმართველოს უფროსი ბუღალტერი.

**აიდინოვა** ლუდმილა ნიკოლოზის ასული — წალკის რაიონული სამომხმარებლო კავშირის საზოგადოებრივი კვების კაფეს ბუფეტის გამგე.

**ბასილაია** ალექსანდრა მიხეილის ასული — ზუგდიდის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების უფროსი იურისკონსულტი.

**ბინიაურიშვილი** მიხეილ კაკოზის ძე — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწე.

**გარიშვილი** შალვა მიხეილის ძე — საკავშირო საპროექტო ინსტიტუტ „ცენტროსოიუზპროექტის" თბილისის ფილიალის პროექტის მთავარი ინჟინერი.

**გოგლიძე** ნიკოლოზ შიოს ძე — ცეკავშირის სასურსათო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს პურპროდუქტებით და საბაკალეო საქონლით ვაჭრობის განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გოცაძე** ელენე ილარიონის ასული — ზესტაფონის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების საგეგმო განყოფილების უფროსი.

**დეკანოსიძე** ნოდარ ბარნაბის ძე — ზესტაფონის რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების რაიუნივერმაღის დირექტორი.

**დუნდუა** ნინო ივლიანეს ასული — სამტრედიის სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზის უფროსი ეკონომისტი.

**ვანიშვილი** შოთა ვასილის ძე — ცეკავშირის სასურსათო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

**ვაჩეიშვილი** როზა ექვთიმეს ასული — აფხაზეთის ასსრ საოლქო კოოპკავშირის გამგეობის პირველი განყოფილების უფროსი.

**ზაუტაშვილი** ვალერიან თედოს ძე — ყვარლის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების წიგნის ვაჭრობის საქონელმცოდნე.

**თარხნიშვილი** მიხეილ იორამის ძე — ტრესტ „საქკოოპმშენის" მარნეულის სამშენებლო უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**თხელიძე** ელგუჯა გალაქტიონის ძე — ცეკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს საბითუმო ვაჭრობის განყოფილების უფროსი.

**კალმახელიძე** ანზორ ლუკას ძე — ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**იაშვილი** ირაკლი სიმონის ძე — ცეკავშირის იურიდიული განყოფილების უფროსი.

**კირეულიშვილი** ბიჭიკო ვახტანგის ძე — გარდაბნის რაიონული სამომხმარებლო კავშირის სამგორის სამომხმარებლო საზოგადოების უნივერმაღის დირექტორი.

**ლაზარიაშვილი** ვალერიან მიხეილის ძე — ახმეტის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველი.

**მაისურაძე** სერგო პავლეს ძე — ცეკავშირის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

**მუსაევი** მამედ ნასიბ ოღლი — დმანისის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების უნივერმაღის ქსოვილებისა და საგალანტერეო სექციის გამგე.

**რამაზაშვილი** მარიამ კონსტანტინეს ასული — ცეკავშირის საქკოოპმომარაგების სამმართველოს მთავარი ბუღალტერი.

**რევაზიშვილი** ჯემალ სერგის ძე — მცხეთის რაიონული სამომხმარებლო კავშირის რესტორან „მცხეთის" დირექტორი.

**სიხარულიძე** ოლიკო ვალერიანის ასული — ცეკავშირის საფინანსო სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

**სულთანიშვილი** ელისო ალექსის ასული — ცეკავშირის გამგეობის მემანქანეთა ბიუროს გამგე, საკანცელარიო მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილე.

**ტერტეროვი** სერგი არტემის ძე — საკავშირო საპროექტო ინსტიტუტ „ცენტროსოიუზპროექტის" თბილისის ფილიალის პროექტის მთავარი ინჟინერი.

**უზნაძე** შოთა რაჟდენის ძე — ჭიათურის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების კალკულატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფრანგიშვილი** ნაზი შალვას ასული — ცეკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს ქსოვილებით, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური და საგალანტერეო საქონლით ვაჭრობის განყოფილების უფროსი.

**ქვათაძე** ბადრი ალისტორის ძე — ამბროლაურის რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების რესტორან „რაჭის" დირექტორი.

**ღვინაძე** ლილი ივანეს ასული — ცეკავშირის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს კულტსაქონლის განყოფილების უფროსი საქონელმცოდნე.

**ყიფიანი** ილია თომას ძე — საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის კვების მრეწველობის სამმართველოს სასურსათო კომბინატის დირექტორი.

**ჭავჭანიძე** ეთერ ნიკიფორეს ასული — ცეკავშირის საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

**ჭანტურია** ლია პლატონის ასული — ცეკავშირის წიგნის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი.

**სართიშვილი** ციცინო იაგორის ასული — ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველი.

**ხატიაშვილი** ელენე ივანეს ასული — ცეკავშირის საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს ეკონომიკისა და დაგეგმვის განყოფილების უფროსი ეკონომისტი.

**ხუციშვილი** მედეა პართენის ასული — წითელწყაროს რაიონული სამომხმარებლო საზოგადოების არბოშიკის სავაჭრო გაერთიანების ბუხჰალტერი.

**ჯინორია** ცისანა ვლადიმერის ასული — ცეკავშირის საფინანსო სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი,

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 17 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 304 კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავკასიის მინერალური ნედლეულის ბაზის შესწავლის და განვითარების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**აბაზაძე** თინა რომანის ასული — ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე.

**აკოფოვა** მარიამ იაკობის ასული — ინსტიტუტის ბენტონიტების და მინერალური სორბენტების ტექნოლოგიის ლაბორატორიის ჯგუფის ხელმძღვანელი.

**არაზაშვილი** ივანე მიხეილის ძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ბაქრაძე** ივანე ვლადიმერის ძე — ინსტიტუტის გეოლოგიურ-მეთოდური ექსპედიციის მთავარი ინჟინერი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**გუდიაშვილი** რევაზ ნიკოლოზის ძე — ინსტიტუტის სანახელავო ქვების ლაბორატორიის გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ედილაშვილი** ვახტანგ იასონის ძე — ინსტიტუტის გეოლოგიური გადაღების და ძიებათა მეთოდიკის სექტორის გამგე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

**ესენი** ლუბოვ ალექსის ასული — ინსტიტუტის მთავარი ბუხჰალტერი.

**ვაშაკიძე** იოსებ გიორგის ძე — ინსტიტუტის თემატური პარტიის უფროსი.

**თვალჭრელიძე** ტატიანა ალექსანდრეს ასული — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**მერაბიშვილი** მიხეილ სიმონის ძე — ინსტიტუტის ბენტონიტების და მინერალური სორბენტების ტექნოლოგიის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი.

**მეფარიშვილი** მინაგო ვარლამის ძე — ინსტიტუტის გეოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევების და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის კავკასიის ტერიტორიული მეთოდური პარტიის მთავარი ჰიდროგეოლოგი.

**მშველიძე** ნოდარ ნიკოლოზის ძე — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ნადარეიშვილი** ვლადიმერ კირილეს ძე — ინსტიტუტის სწავლული მდივანი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ოღენტი** ელენე ალექსანდრეს ასული — ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელი.

**როყვა** მოსე ლუკას ძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ტევზონიანი** მერი სტეფანეს ასული — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ურიდია** ლამარა იასონის ასული — ინსტიტუტის ჯგუფის ხელმძღვანელი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**შუკაკიძე** ნინო დომენტის ასული — ინსტიტუტის არამადნეული ნედლეულის გამამდიდრებელი ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ჩიგოგიძე** ალექსანდრე სილიბისტროს ძე — ინსტიტუტის გეოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევების და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის კავკასიის მეთოდური პარტიის უფროსის მოადგილე.

**ცუცქირიძე** ლევან ნიკოლოზის ძე — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

**ხაჩატურიანი** ალბერტ მირაქის ძე — ინსტიტუტის მექანიკური საამქროს მუშა.

**ჯორჯაძე** ნიკოლოზ ივანეს ძე — ინსტიტუტის გეოლოგიურ-მეთოდური ექსპედიციის უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1979 წლის 18 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 305 რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და კვების მრეწველობის მუშაკის დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი საამქროს ბრიგადა ვალენტინ იაკობის ძე ლომთათიძის ხელმძღვანელობით.**

**საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტთან" არსებული გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ბრიგადა „სამტრესტის" უფროსის მოადგილის ზურაბ ილიას ძე ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით.**

**ალბოროვა** ლუბოვ ვასილის ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" ცხინვალის პურკომბინატის ცომის მზელი.

**ბებიაშვილი** თინათინ მიხეილის ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგე.

**გეწაძე** ავთანდილ აღაბაის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის" თერჯოლის საწარმოო გაერთიანების უფროსი ინჟინერი.

**დავითაია** ავთანდილ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთის" ოჩამჩირის ზეთის საექსტრაქციო ქარხნის მღარავი.

**ლომიძე** თამარ ბესარიონის ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი.

**პურადაშვილი** დავით ივანეს ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მართვის ავტომატიზებული სისტემის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის განყოფილების გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სარიშვილი** თამაზ მოსეს ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქმინხილწყლების“ უფროსის მოადგილე.

**სულაბერიძე** სერგო მელიტონის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ჩაის ფაბრიკების ჩოხატაურის საწარმოო გაერთიანების მთავარი ბუხჰალტერი.

**ჭუმბურიძე** ლიანა ვლადიმერის ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის“ საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის“ მუშა.

**ჯალაღანია** ცუცა კონსტანტინეს ასული — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს აფხაზეთის ღვინკომბინატის ჩამომსხმელი საამქროს მუშა.

**ჯოჯიშვილი** გურამ ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 19 ოქტომბერი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 306 რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, კვების მრეწველობის მუშაკის დღესთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ის პირნი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

**გიუნაშვილი** ვალიკო ილარიონის ძე — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო ბაზის მძღოლი.

**ზაიცევა** ნინო გრიგოლის ასული — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს თბილისის ხორცის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „თბილხორცის“ მუშა.

**მარგიევი** ხარიტონ კონსტანტინეს ძე — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს თბილისის სარემონტო-მექანიკური კომბინატის მუშა.

**სელუმიანი** ჯუმბერ არმენაკის ძე — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს თბილისის ორგანულ-თერაპევტული პრეპარატების ქარხნის ზეინკალი.

**ჯმუხაძე** ზინაიდა ვასილის ასული — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება „თბილრძის" მუშა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 307 ამხ. ს. გ. გაჩეჩილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის კონსულტანტ-პროფესორი სიმონ გიორგის ძე **გაჩეჩილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 308 ამხ. ლ. ვ. გრიციკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთკავშირის პროპაგანდის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, აგრეთვე წარმატებული მთარგმნელობითი მუშაობისათვის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ლუდმილა ვასილის ასული **გრიციკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1979 წლის 23 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 309 ამხ. მერიკე პაუს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და ქართულ-ესტონური ლიტერატურული ურთიერთკავშირის პროპაგანდისათვის ესტონელი მწერალი მერიკე პაუ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 310 ამხ. ო. შ. ცომაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აბაშის რაიონის სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის საწარმოს დირექტორი ამხ. ოთარ შალვას ძე **ცომაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 23 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 311 აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების წევრები:

**აფხაზეთის ასსრ-ში:**

**ახალაია** ტარიელ დავითის ძე — გულრიფშის სატყეო მეურნეობის მუშა.
**ბაღათელია** გრიგოლ ესტატეს ძე — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის თბომავლის მემანქანე.

**ბოშარული** გოგი სიკოს ძე — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დარაჯი.

**გვილავა** შოთა ანდრიას ძე — სოხუმის რაიონის აჩადარის საშუალო სკოლის პედაგოგი.

**დანელია** ეფრემ რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. გაგრის სანატორიუმ „კოლხიდის“ ინჟინერი ექსპლუატაციის დარგში.

**დოროხოვი** ვიაჩესლავ ვასილის ძე — სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ემურხბა** შოთა ვალიკოს ძე — ქ. ტყვარჩელის ნ. ა. ლაკობას სახელობის მაღაროთსამმართველოს უბნის მეზიგე.

**ივანოვი** პავლე დიმიტრის ძე — ქ. გაგრის სანატორიუმ „უკრაინის“ სამუშაოთა მწარმოებელი.

**მელია** ოთარ ვასილის ძე — სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურ-საამწყობო სამუშაოთა ზეინკალი.

**მიქაძე** ნოე ალექსანდრეს ძე — საკურორტო მწვანე მშენებლობის დაცვის უფროსი.

**სანგულია** კონსტანტინე ანტონის ძე — გუდაუთის რაიმრეწვკომბინატის მუშა.

**საჯაია** გრიგოლ კუჩიკის ძე — ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების მუშა.

**ტურავა** გიორგი აკაკის ძე — ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

**შჩოკინი** ივანე იაგორის ძე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

**ქეცბაია** რევაზ რაჟდენის ძე — სახელმწიფო ბანკის გალის განყოფილების დირექტორის მოადგილე.

**ცომაია** ვაჟა აკაკის ძე — გულრიფშის რაიონული სამომხმარებლო კავშირის მუშა.

**ჯენია** სტანისლავ შაბის ძე — გუდაუთის ქალაქის საბჭოს კომუნალური საწარმოს მუშა.

## აჭარის ასსრ-ში:

**ბოლქვაძე** ივანე ალის ძე — ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი.

**დავითაძე** ოთარ ამირანის ძე — ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

**კლდიაშვილი** გივი ვარლამის ძე—ხელვაჩაურის რაიონის ანგისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი.

**კუფაციძე** ალექსი ქრისტეფორეს ძე — ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის კოლმეურნე.

**მიქაძე** ნოდარ დავითის ძე — ქ. ბათუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიქელაძე** მამუდ რამიზის ძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

**ნიჟარაძე** თეიმურაზ რევაზის ძე — აჭარის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების სადისპეტჩერო სამსახურის უფროსი ინჟინერი.

**სამველიძე** ილია შუქრის ძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის კოლმეურნე.

**ცეცხლაძე** მიხეილ შუქრის ძე — ბათუმის № 5 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კალატოზი.

**ძნელაძე** ვასილ ისმაილის ძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის კოლმეურნეობის გარაჟის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 24 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 312 ამხ. ე. მ. პრიმაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქაროველოს სს რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მეცნიერული კვლევის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ევგენი მაქსიმეს ძე **პრიმაკოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1979 წლის 29 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 313 რესპუბლიკის პროპაგანდის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

აქტიური პროპაგანდისტული მუშაობისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდაში დამსახურებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის პროპაგანდის საუკეთესო მუშაკები:

ეროვნული ბიბლიოთეკა



**არძინბა** ასია პლატონის ასული — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების საოლქო სახლის გამგე.

**ბაქრაძე** ილია ვალერიანის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკურ სახლთან არსებული ეკონომიკური განათლების მეთოდური საბჭოს წევრი.

**ბურჭულაძე** ილია სიმონის ძე — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების საოლქო სახლის გამგე.

**გელაშვილი** დავით ვასილის ძე — თეორიული სემინარის ხელმძღვანელი, გორის რაიონი.

**გუბელიძე** სერგო ალექსანდრეს ძე — თეორიული სემინარის ხელმძღვანელი, ქ. ფოთი.

**ზასლავსკი** ბორის მიხეილის ძე — თეორიული სემინარის ხელმძღვანელი, ქ. რუსთავი.

**იმნაძე** თინა პლატონის ასული — საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე.

**იაკუშენკო** კონსტანტინე მიხეილის ძე — პოლკოვნიკი.

**იოსებაშვილი** ზაალ ივანეს ძე — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტი, ყვარლის რაიონი.

**კალაევი** ბახიშ ჰუსეინის ძე — საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანი.

**მიდოდაშვილი** გრიგოლ ლევანის ძე — საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, პოლიტგანათლების საოლქო სახლის გამგე.

**ოდიშარია** მამლიდ მამონტის ძე — საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომის პოლიტგანათლების კაბინეტის გამგე.

**შაბანოვი** აშოტ არტემის ძე — თეორიული სემინარის ხელმძღვანელი, ქ. თბილისი.

**ჩიქობავა** ნიკოლოზ ანდრიას ძე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი.

**ჯანეზაშვილი** ვასილ სერგის ძე — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტი, ქ. ზუგდიდი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 30 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 314 გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მე-10000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ანასაშვილი** მარადი ლევანის ასული — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

**კალმახელიძე** ციალა გრიგოლის ასული — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 30 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 315 ამხ. ი. ვ. ბობოხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და ახალგაზრდობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის კომპოზიტორი იაკობ ვარლამის ძე **ბობოხიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 30 ოქტომბერი.

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის წევრის, დეპუტატ დ. ალექსიძის მოხსენება რესპუბლიკის შემოქმედებით დაწესებულებებში საბავშვო თემატიკისა და რეპერტუარის გასაფართოებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღინიშნა, რომ ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს ბავშვთა ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდისათვის.

ქართველი საბჭოთა მწერლები ქმნიან ახალ ნაწარმოებებს ბავშვებზე და ბავშვებისათვის.

შესამჩნევად გაუმჯობესდა საბავშვო თეატრების საქმიანობა, გაფართოვდა მათი რეპერტუარი.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს მხატვართა კავშირის ესთეტიკური აღზრდის სექცია, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად პერიოდულად აწყობს ბავშვთა ნახატების გამოფენებს.

ქართველი კომპოზიტორები ქმნიან საბავშვო ოპერებს და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რესპუბლიკის შემოქმედებითი დაწესებულებების მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად საბავშვო თემატიკისა და რეპერტუარის შემდგომი გაფართოების საქმეში კვლავაც შეიმჩნევა ნაკლოვანებები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ჩერქეზიშვილმა.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. სირაძე.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 177 მრავალშვილიანი დედა:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან | 1 |
| „ პირველი მაისის „ | 4 |
| „ კიროვის „ | 2 |
| „ 26 კომისრის „ | 1 |
| ქ. გორიდან | 2 |
| ქ. რუსთავიდან | 4 |
| ქ. ჭიათურიდან | 4 |
| აბაშის რაიონიდან | 2 |
| ასპინძის „ | 2 |
| ახალქალაქის „ | 14 |
| ბოგდანოვკის „ | 4 |
| ბოლნისის „ | 4 |
| გარდაბნის „ | 9 |
| გურჯაანის „ | 4 |
| დმანისის „ | 17 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| დუშეთის | რაიონიდან | 7 |
| ზესტაფონის | „ | 2 |
| ზუგდიდის | „ | 3 |
| თელავის | „ | 4 |
| თიანეთის | „ | 2 |
| მარნეულის | „ | 11 |
| მესტიის | „ | 5 |
| მცხეთის | „ | 4 |
| ონის | „ | 2 |
| ორჯონიკიძის | „ | 1 |
| საგარეჯოს | „ | 19 |
| სამტრედიის | „ | 3 |
| ჩოხატაურის | „ | 1 |
| ცხაკაიის | „ | 1 |
| წალკის | „ | 18 |
| ხაშურის | „ | 4 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო-დან | | 16 |

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 15 ოქტომბრის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დაჯილდოვდა 1492 კაცი.

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის კიროვის | რაიონიდან | 44 |
| „ ოქტომბრის | „ | 67 |
| ქ. გორიდან | | 8 |
| ქ. ტყიბულიდან | | 83 |
| ქ. ქუთაისის ლენინის | რაიონიდან | 59 |
| ქ. ჭიათურიდან | | 201 |
| აბაშის | რაიონიდან | 37 |
| ბოლნისის | | 13 |
| გარდაბნის | „ | 25 |
| დუშეთის | „ | 13 |
| ვანის | „ | 33 |
| ზესტაფონის | „ | 158 |
| ზუგდიდის | „ | 90 |
| თეთრი წყაროს | „ | 39 |
| თელავის | „ | 208 |

| | | |
|---|---|---|
| თერჯოლის | რაიონიდან . . | 54 |
| სამტრედიის | „ . . . . . | 90 |
| საჩხერის | „ . . . . . | 113 |
| ქარელის | „ . . . . . | 24 |
| ცაგერის | „ . . . . . | 38 |
| წალკის | „ . . . . | 23 |
| ხაშურის | „ . . . . . | 72 |